N 27055/10 19.09.2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს,

ნინო გვენეტაძეს

ქალბატონო ნინო,

უწყვეტი განათლების ცენტრი წარმოგიდგენთ სასერტიფიკატო კურსს „ქართული ენა და კულტურა“. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსების დამტკიცებისა და განხორციელების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების (N66/2016) თანახმად, სასერტიფიკატო კურსი შეფასებისათვის წარედგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული კურსის ამოქმედებას (N26973/10 19/09/2023).

დანართების სახით იხილეთ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის N26973/10 19/09/2023 წერილი სასერტიფიკატო კურსის „ქართული ენა და კულტურა“ განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, კურსის ანოტაცია და პედაგოგის CV.

სასერტიფიკატო კურსის დამტკიცებასთან დაკავშირებით თქვენი თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ, დაგვავალოთ სასერტიფიკატო კურსის დამტკიცების შესახებ შესაბამისი ბრძანების მომზადება.

დანართები:

1. N26973/10 19/09/2023 თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წერილი;
2. სასერტიფიკატო კურის „ქართული ენა და კულტურა“ ანოტაცია;
3. პედაგოგის CV.

პატივისცემით,

გია მამულაშვილი

ცენტრის უფროსი
უწყვეტი განათლების ცენტრი